# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში**



**პრიორიტეტული სფერო:**

პარტნიორობა, რომელიც ამწვანებს, ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება

**ხელშეკრულების ნომერი (CRIS):** 421-207

**განხორციელების ვადა:** 01.01.2021 - 31.12.2024

**ევროკავშირის წვლილი:** € 1 000 000

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 1 112 595

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**

Caucasus Environmental NGO Network

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**

https://www.facebook.com/ThinkNaturally

**პროექტის ვებსაიტები:** http://www.cenn.org

**პროექტის აღწერა:**

პროექტი ევროკავშირის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში" პროგრამის ნაწილია. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, პროექტი ხელს უწყობს ეროვნული და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებისა და გააქტიურების პროცესს, კლიმატის სამოქმედო რეგიონული ჯგუფებისა და კლიმატის ეროვნული პლატფორმის შექმნისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბების გზით.

პროექტი გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის და კახეთის რეგიონებში მუშაობს და ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლასა და პოლიტიკის თანამონაწილეობრივი დაგეგმვის პროცესში ეფექტიანი ჩართულობის ხელშეწყობის კუთხით გაძლიერებაში ეხმარება. კლიმატის სამოქმედო რეგიონული ჯგუფები და კლიმატის ეროვნული პლატფორმა ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოების კონსტრუქციულ ჩართულობას კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. პროექტი მუშაობს ადგილობრივ და ეროვნულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებთან და სხვადასხვა სათემო და ახალგაზრდულ ჯგუფებთან.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. კლიმატის ცვლილების სფეროში მონაწილეობის გაუმჯობესებული მექანიზმები;
2. მტკიცებულებებზე დაფუძნებული და თანამონაწილეობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობა კლიმატზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
3. კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის გაძლიერებული ზომები და ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს უკეთ დაცვა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასა და/ან მისი შედეგების შერბილებაზე ორიენტირებული ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად მესამე მხარეებისთვის ფინანსური დახმარებისა (ქვე-გრანტები) და შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფის შედეგად;
4. კლიმატის ცვლილებისა და მისი უარყოფითი ზემოქმედებების წინააღმდეგ ბრძოლაში სამოქალაქო საზოგადოების როლის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა

**ღონისძიებების სია (უახლესი სამი):**

Thematic Camp on Climate Change for Women and Youth  Admission of Participants Begins
EU Green Week 2021 Campaign - Act4Climate
As Part of the EU Green Week 2021, CENN Launches a Large-scale Campaign – Act4Climate